დაიჯესტი

7 – 15 აგვისტო, 2021

TRC
ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
Terrorism Research Center

ამერიკის შეერთებული შტატები

რესპუბლიკელები მოუწოდებენ შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტს გაამჟღავნოს საზღვარზე დაკავებული იმ მიგრანტების ვინაობა, რომლებიც ირიცხებიან ტერორისტების სადამკვირვებლო სიაში.

22 წლის ლანსინგელ მამაკაცს, მუზა მუუსს, ბრალად ედება ტერორისტული ორგანიზაცია დაეშისთვის მატერიალური დახმარების გაწევა. აღნიშნულ პირს თავისუფლების აღკვეთის სახით, 78 თვიანი პატიმრობა და 10 წლიანი საშინაო პატიმრობა ემუქრება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დააპატიმრეს მიანმარის ორი მოქალაქე, რომელთაც ბრალად ედებათ გაეროს ელჩზე თავდასხმის დაგეგმვა. საგამოძიებო უწყებების მიხედვით, თავდასხმის მიზანს წარმოადგენდა ელჩის იძულება - დაეტოვებინა დაკავებული თანამდებობა.

თურქეთი

სპეცოპერაციის ფარგლებში თურქეთის პოლიციამ მოკლა სირიის მოქალაქე, რომელიც ტერორისტულ თავდასხმას გეგმავდა.

სირია

სირიაში მდებარე ალ-ჰოლის ბანაკში მყოფი ერაყელები მზარდი ძალადობის შესახებ იტყობინებიან. გასულ კვირას ბანაკში კიდევ ერთი ერაყელი მოკლეს. მკვლელობაში ეჭვმიტანილი დაეშის ადგილობრივი ბლოკია.

ირანი

ირანის ახალმა პრეზიდენტმა, ებრაჰიმ რაისიმ მინისტრთა კაბინეტი წარადგინა. მინისტრთა შორისაა რევოლუციური გვარდიის ყოფილი გენერალი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო და ხაზინის დეპარტამენტების მიერ სანქცირებულია ტერორიზმთან დაკავშირებული საქმიანობის გამო.

ერაყი

ერაყის არმიამ ოთხშაბათს დაეშის წინააღმდეგ სამხედრო სპეცოპერაცია დაიწყო. ოპერაციას მხარს უჭერს ერაყის საჰაერო ძალები და საერთაშორისო კოალიცია დაეშის წინააღმდეგ.

დაეშის მიერ დამონტაჟებულმა სახმელეთო ნაღმებმა 8 სამხედრო პირის სიცოცხლე იმსხვერპლა. აფეთქება ოთხშაბათს მოხდა, როდესაც ერაყის სახელმწიფო არმია ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში სამხედრო სპეცოპერაციას ატარებდა.

ლიბანი

პარასკევს ჰეზბოლამ ისრაელის მიმართულებით სარაკეტო იერიში დაიწყო, რასაც ისრაელისგან საპასუხო რეაგირება მოჰყვა. ეს იყო თავდასხმების მესამე დღე ლიბანთან საზღვრის გასწვრივ, სადაც ისრაელსა და ირანის მიერ მხარდაჭერილ ჰეზბოლას შორის დაძაბულობა პერიოდულად იზრდება.

ეგვიპტე

ეგვიპტემ მუსლიმთა საძმო ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიყვანა. ამასთანავე, ეგვიპტის უზენაესმა სასამართლომ შავ სიაში შეიყვანა დაჯგუფებასთან აფილირებული 56 პირი.

მალი

შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ მალის ჩრდილოეთით მდებარე რამდენიმე სოფელს. თავდასხმის შედეგად დაიღუპა სულ მცირე 51 ადამიანი. ხელისუფლების განცხადებით მომხდარი წარმოადგენს საპასუხო რეაქციას რამდენიმე აჯანყებული ლიდერის დაკავებაზე.

ისლამური თანამშრომლობის ორგანიზაციამ (OIC) დაგმო ტერორისტული თავდასხმა მალის რესპუბლიკის რამდენიმე სოფელზე, რომელმაც ათობით მშვიდობიანი მოქალაქე

იმსხვერპლა. OIC– მა კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა თავის მკაცრ პოზიციას ტერორიზმის ყველა ფორმის წინააღმდეგ და მალის ხელისუფლებას სრული სოლიდარობა გამოუცხადა ტერორიზმის და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ნიგერი

გამოცემა *The Defence Post*-ის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მიმდინარე წელს ჯიჰადისტების მიერ ორგანიზებულ ტერორისტულ თავდასხმებს ნიგერში 420 სამოქალაქო პირის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ბოკო-ჰარამის მიერ 7 წლის წინ გატაცებული ნიგერიელი სკოლის მოსწავლე თავისუფალია და ოჯახს დაუბრუნდა. რუთ ნგლადარ პოგუ სამხედროებს მეუღლესთან ერთად ჩაბარდა.

მოზამბიკი

მოზამბიკის და რუანდის სამთავრობო ძალებმა კაბუ-დელგადუს პროვინციის ქალაქები - მოკიმბოა და პრაიდა დაიკავეს. აღნიშნული ქალაქები დაეშთან აფილირებული სამხედრო ბლოკების კონტროლის ქვეშ იყო.

ბურკინა-ფასო

სულ მცირე 12 ჯარისკაცი დაიღუპა კვირას ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში მომხდარი ტერორისტული თავდასხმის შედეგად.

ავღანეთი

თალიბანსა და ავღანეთის ხელისუფლებას შორის არსებული დაპირისპირება ბოლო ფაზაში შევიდა. 15 აგვისტოს თალიბანმა აიღო ავღანეთის დედაქალაქი - ქაბული. საერთაშორისო საზოგადოება აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ცალკეული

ქვეყნების ხელისუფლებებთან ავღანეთიდან მოქალაქეების უსაფრთხო გამოყვანის მიზნით. ამ დროისათვის ავღანეთში საქართველოს 22 მოქალაქე რჩება, რომელთა გამოყვანაშიც საქართველოს მისი პარტნიორი - უკრაინა დაეხმარება.